საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

ბრძანება №176

2015 წლის 6 თებერვალი

ქ. თბილისი

ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების 2015 წლის საიმპორტო წლიური კვოტის დამტკიცების შესახებ

„შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ დებულებისა და შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის №184 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 4^1 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს 2015 წლის საიმპორტო წლიური კვოტები ოზონის შრის დამშლელი შემდეგი ნივთიერებებისთვის:

ა) წყალბადქლორფტორნახშირბადი (CHF2Cl, HCFC-22) – 74,79 მეტრული ტონა;

ბ) 1-ქლორ-1,1-დიფტორეთანი (CH3CF2Cl, HCFC-142b) და ქლორდიფტორეთანები (C2H3F2Cl, HCFC-142) – 8,91 მეტრული ტონა.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2015 წლის 5 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის მინისტრი — **ელგუჯა ხოკრიშვილი**